საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გარაყანიძე მიხეილ კასიანეს ძე

გარაყანიძე მიხეილ კასიანეს ძე (2. VIII. 1910, თბილისი,–1981, ოდესა), არქიტექტორი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966).

დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი არქიტექტორ-მშენებლის სპეციალობით (1938). 1941-მდე მუშაობდა თბილ. საპროექტო ორგანიზაციებში. 1941–45 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. პედ. მოღვაწეობა დაიწყო 1946-იდან. სწავლობდა და იკვლევდა ხალხ. ხის ხუროთმოძღვრებას, მუშაობდა არიქტ.-სამშენებლო ტერმინოლოგიის საკითხებზე. 1963–64 აქტიურად მონაწილეობდა სსრკ (ახლანდ. რუსეთის) მეცნ. აკად. საცხოვრ. სახლების ტიპიზაციის განყ-ბის ფილიალის შექმნაში, რ-ის ხელმძღვანელადაც დაინიშნა. შემდგომში ამ განყ-ბისა და „ქალაქმშენპროექტის“ ერთ-ერთი განყ-ბის ბაზაზე ჩამოაყალიბა საცხოვრ. სახლებისა და საზ. შენობათა ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალური სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, სადაც დღიდან დაარსებისა 1970-მდე იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში. 1971-იდან გადავიდა ოდესაში, სადაც გარდაცვალებამდე განაგებდა სამშენებლო ინ-ტის არქიტ. კათედრას. ნამუშევრები: საცხოვრ. სახლები წყალტუბოში (1938–40), ჟინვალის დასახლების გენგეგმა (1946), სოფლის ჰიდროელექტროსადგურები (1947–50).

თხზ.: Грузинское деревянное зодчество, М.–Тб., 1959.